ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1043667

ნომერი: AR1184618

თარიღი : 15.12.2013

გაცემის თარიღი : 18.12.2013

გაცნობის თარიღი : 23.12.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჟამურელი პ/ნ 59001093835
- გორი ს. ზერტი

ორგანიზაცია:
- გეოკომპლექსი კოდი: 405016664

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

გადაწყვეტილება

თქვენი 2013 წლის 15 დეკემბრის #AR1184618 განცხადების პასუხად, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დირმის სასწავლო–საცდელ მეურნეობაში საკადასტრო გეგმით #01.72.14.012.747 მიწის ნაკვეთზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის დასაპროექტებლად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მომზადებას გაცნობებთ შემდეგს:

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მიწის ნაკვეთები სამშენებლო საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობების მიხედვით იყოფა სამშენებლო მიწის ნაკვეთად, სამშენებლოდ შეზღუდული მიწის ნაკვეთად და სამშენებლოდ შეუსაბამო მიწის ნაკვეთად. ასევე ქ. თბილისის საკრებულოს ,,ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილების 27-ე მუხლის თანახმად, უფლებრივი ზონირების დოკუმენტების, როგორც ადგილობრივი სამართლებრივი აქტების მიღების შემდგომ უფლებრივი ზონირებით მოცული ტერიტორიების ფარგლებში არსებული ის ცალკეული მიწის ნაკვეთები, შენობები და ნაგებობები, რომელთა ამ წესის მოთხოვნებთან შეუსაბამობა განპირობებულია გარემოებებით (მიწის ნაკვეთის ფართობი, კონფიგურაცია, ხაზოვანი ზომები, ნარგავების არსებობა. ფუნქციური ზონით განპირობებული შეზღუდვა და ა.შ.), იძენენ ,,იძულებით შეუსაბამო“ უძრავი ობიექტის იურიდიულ სტატუსს, რომელსაც ანიჭებს მშენებლობის ნებართვის გამცემი შესაბამისი ორგანო (ქ. თბილისის მასშტაბით-თბილისის არქიტექტურის სამსახური).

აღნიშნული და მომიჯნავე მიწის ნაკვეთები იყო ერთიანი საკადასტრო ერთეული რომლის გამიჯვნაც მოხდა არასწორად და მითითებული საკადასტრო გეგმით #01.72.14.012.747 მიწის ნაკვეთი თავისი კონფიგურაციით, სიგანით და ფართობით (252 მ2) გახდა სამშენებლოდ შეუსაბამო.

გამომდინარე აქედან სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია მიწის ნაკვეთის ცალკე სამშენებლო განვითარება, შესაძლებელია მხოლოდ აღნშნული #01.72.14.012.747 და მომიჯნავე საკადასტროების ისევ გაერთიანება საწყის კონტურში და ერთიანი სამშენებლოდ განვითარება.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.